საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-5/8107
16/08/2023

8107-04-5-2-202308160954

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს

ქალბატონ სოფიო გორგოძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

[redacted]ს უმაღლესი განათლების მიღების უფლების კანონშეუსაბამო შეზღუდვის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო სოფიო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 1 აგვისტოს N953058 გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც [redacted] ს [redacted] უარი ეთქვა ისტორიის საგნის დამატებით საგამოცდო სესიაზე დაშვებაზე და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ აბიტურიენტს დაუსაბუთებლად შეუზღუდა კონსტიტუციით გარანტირებული უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

ფაქტობრივი გარემოებები:

განსახილველ საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში როგორც ს. ბ [redacted] წარმომადგენლის, ისე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დგინდება შემდეგი:

მიმდინარე წლის 17 ივლისს ს [redacted] ბ [redacted] უნდა გამოცხადებულიყო ერთიანი ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიის საგამოცდო სესიაზე, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო აბიტურიენტმა ვერ შეძლო საგამოცდო სესიაზე გამოცხადება. განმცხადებელი განმარტავს, რომ 17 ივლისს ქონდა მაღალი ტემპერატურა, შეშუპება და არ შეეძლო კონცენტრაცია. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შპს „სმაილ სოლუშენი"-ის მიერ 2023 წლის 17 ივლისს გაცემული ცნობით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N- IV-100/ა) ირკვევა, რომ საგამოცდო სესიის წინა დღეს მწვავე ტკივილების გამო (16.07.2023 წ.) ს [redacted] ბ [redacted] ს ჩაუტარდა კბილის ოპერაციული ექსტრაქცია და სსიპ „სამედიცინო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი

დახმარების ცენტრის" სასწრაფოს სამედიცინო ბრიგადის ექიმის მიერ 2023 წლის 17 ივლისს 20:20 საათზე შედეგნილ სამედიცინო ბარათში N639 [illegible] უფიქსირდება სხეულის მაღალი ტემპერატურა 38.4-38.6 C.

2023 წლის 18 ივლისს, ისტორიის საგამოცდო სესიის მეორე დღესვე ს. ბ [illegible] დედამ - ი ბ. [illegible] სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა N893408 განცხადება და ადმინისტრაციულ ორგანოს თხოვა ს. ბ. [illegible] მიეცათ ისტორიის დამატებით გამოცდაზე დაშვების უფლებამოსილება. ი. ბ. [illegible] ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ კორესპონდენციაში დეტალურად აღწერდა იმ დამაბრკოლებელი გარემოებებს, რის გამოც მისი შვილი - ს ბ. [illegible] ვერ გამოცხადდა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე. განცხადების ავტორი ითხოვდა საკითხის სასწრაფოდ განხილვას და გამოთქვამდა მზაობას საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებით. ი ბ. [illegible] 2023 წლის 18 ივლისის N893408 განცხადებაში საცხოვრებელი მისამართის გარდა მითითებული ჰქონდა როგორც საკონტაქტო მობილურის ნომერი, ისე ელ. ფოსტის მისამართი.

2023 წლის 21 ივლისს სსიპ შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორმა გამოსცა N115/23 ბრძანება ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ისტორიის გამოცდის დამატებითი სესიის ჩატარების შესახებ და გამოცდის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 25 ივლისი.

2023 წლის 24 ივლისს სსიპ შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრმა ი ბ. [illegible] 18 ივლისის N893408 განცხადებასთან დაკავშირებით გაუგზავნა 2023 წლის 21 ივლისს მომზადებული N914842 წერილი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესის თანახმად, განმცხადებელს დაავალა 5 დღის ვადაში ს ბ [illegible] წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული კორესპონდენცია ადრესატს ჩაბარდა 2023 წლის 25 ივლისს. ს [illegible] ბ [illegible] დედამ ადმინისტრაციულ ორგანოს იმავე დღეს წარუდგინა მოთხოვნილი დოკუმენტი.[1] **მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ი ბ [illegible] არ მიუწოდებია ინფორმაცია (მათ შორის არც ზეპირი ფორმით) ისტორიის საგანში დამატებითი გამოცდის სესიისთვის უკვე განსაზღვრული თარიღის შესახებ.**

2023 წლის 26 ივლისს ს. ბ [illegible] წარმომადგენელმა მისი მარწმუნებლის ინტერესების დაცვის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა და მოითხოვა დროებითი განჩინების გამოცემა, რათა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უზრუნველყო ს. [illegible] ბ. [illegible] ს ისტორიის დამატებით გამოცდაზე დაშვება. **2023 წლის 27 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოსცა დროებითი განჩინება (საქმეზე N7635116), რომლითაც სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაევალა უზრუნველყო ს. [illegible] ბ [illegible] ს დამატებით გამოცდაზე დაშვება. სასამართლო მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ დროებით განჩინება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ შესრულებას და გასაჩივრება ვერ შეაჩერებდა მის მოქმედებას.**

2023 წლის 01 აგვისტოს N953058 გადაწყვეტილებით სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ი ბ (ს [illegible] ბ. [illegible] ს წარმომადგენელს) აცნობა, რომ ვინაიდან ს. ბ. [illegible] საგამოცდო ბარათში მითითებულ დროს არ იმყოფებოდა

[1] 2023 წლის 25 ივლისის №925746 და №925616 წერილებით.

სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში არანაკლებ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას გამონაკლისის სახით დაეკმაყოფილებინა განცხადებაში დაფიქსირებულიი მოთხოვნა. ასევე, სსიპ შეფასებისა და **გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ი ბ ს განუმარტა, რომ 2025 წლის 25 ივლისს ცენტრმა ჩაატარა ისტორიის საგანში დამატებითი სესია იმ პირებისთვისაც, ვისაც წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად ეკუთვნოდათ დამატებით სესიაზე დანიშვნა. ამდენად, ვინაიდან უკვე ჩატარებული იყო ისტორიის გამოცდის დამატებითი სესია, ცენტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას აღესრულებინა სასამართლოს დროებითი განჩინება.**

2023 წლის 4 აგვისტოს 9392/23 წერილით სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს დამატებით აცნობა, რომ ისტორიის გამოცდის სესიაზე გამოყენებული ტესტური დავალებები უკვე გამოქვეყნებულია ცენტრის ვებგვერდზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 ივლისის დროებითი განჩინება კერძო საჩივრით უკვე გაასაჩივრა ადმინისტრაციულმა ორგანომ.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.[2] მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.[3] აღსანიშნავია, რომ ადამიანის პიროვნული თავისუფლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების უფლებით სრულყოფილად სარგებლობაზე და ამ უფლების ეფექტური რეალიზება არა მხოლოდ პირის ინდივიდუალურ ინტერესს, არამედ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენს. განათლების უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს როგორ ინდივიდს, ასევე მთლიანად საზოგადოებას.[4]

საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მიზნებია: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება და სხვა.[5] აბიტურიენტი არის სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.[6] ერთიანი ეროვნული გამოცდა არის პროცედურა, რომლითაც დგინდება აბიტურიენტის მზაობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად.[7]

---

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27, პ.1.

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27, პ.4.

[4] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-21.

[5] „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3.

[6] იქვე, მუხლი 2, ქვპ. „ა".

[7] იქვე, მუხლი 2, ქვპ. „ფ".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირებაზე გამოუცხადებელ აბიტურიენტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება თუ მან საგამოცდო ბარათში მითითებულ დროს ვერ შეძლო გამოცდაზე გამოცხადება: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ერთი დღე-ღამით ყოფნის გამო; ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო ან/და დაუძლეველი ძალის გამო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრს – უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებაზე[8], ს ბ ა (აბიტურიენტი) ისტორიის გამოცდის დამატებით სესიაზე დაშვების საკითხის განხილვის პროცესში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 ივლისის დროებითი განჩინებით დაევალა უზრუნველყო ს. ბ. ს ისტორიის დამატებით გამოცდაზე დაშვება. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს იმ გარემოებების შეფასება უნდა მიჩნეულიყო თუ არა ს ბ. მდგომარეობა იმ საგამონაკლისო შემთხვევად რა დროსაც „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“ ითვალისწინებს დამატებითი გამოცდის დანიშვნის შესაძლებლობას *(თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2023 წლის 1 აგვისტოს N953058 გადაწყვეტილებაში[9] არ იმსჯელა განსახილველი შემთხვევა რატომ არ შეიძლება მიჩნეულიყო დაუძლეველ ძალად)*. **საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ვინაიდან სასამართლოს მიერ მიღებული დროებით განჩინების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“ არ აწესებს რაიმე შემზღუდველ ვადას ერთიანი ეროვნული გამოცდების დამატებითი საგამოცდო სესიის დანიშვნასთან დაკავშირებით, სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრს“ ამჟამადაც შეუძლია და ევალება უზრუნველყოს ს. ბ. ს ისტორიის დამატებითი გამოცდის დანიშვნა. რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებას, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება და აღნიშნული ნორმა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხელშეშლას კანონის შესაბამისად დასჯად ქმედებად მიიჩნევს.**

საქართველოს სახალხო დამცველს სურს თქვენი ყურადღება გაამახვილოს ი ბ. ა 2023 წლის 18 ივლისის N893408 განცხადების განხილვის პროცესის სამართლიანობაზეც. ს ბ ს დედა (შემდგომში მისი რწმუნებული პირი) საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ითხოვდა განცხადების დაუყოვნებლივ განხილვას და გამოხატავდა მზაობას, საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. ი ბ მისი შვილის ისტორიის დამატებით გამოცდაზე დაშვების საკითხი მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც სხვა გარემოებებთან ერთად განცხადების არაგონივრულ ვადაში განხილვის შედეგად მის შვილს 1 წლით შეეზღუდებოდა უმაღლესი განათლების მიღებისა და დაფინანსების უფლება. მართალია სსიპ „შეფასებისა და

---

[8] იქვე, მუხლი 51, 3.1.

[9] აღნიშნული გადაწყვეტილებით ი ბ ს უარი ეთქვა მისი მარწმუნებლის – ს ბ ს ისტორიის დამატებით გამოცდაზე დაშვებაზე.

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა" დაიცვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადები განცხადების ავტორისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნასა და განცხადების განხილვისთვის დაწესებულ ზოგად ვადებთან დაკავშირებით, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება და ი ბ . არ მიაწოდა ინფორმაცია დამატებითი გამოცდის თარიღის შესახებ[10]. მოგვიანებით კი ადმინისტრაციულმა ორგანომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 ივლისის დროებითი განჩინების აღუსრულებლობის მიზეზად სწორედ ის გარემოება დაასახელა, რომ ისტორიის დამატებითი გამოცდა უკვე დანიშნული და ჩატარებული იყო. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო სასამართლოში წარდგენილ კერძო საჩივარში მიუთითებდა, რომ ს. ბ ვა არასწორი ინფორმაცია წარუდგინა სასამართლოს დამატებითი გამოცდების სავარაუდოდ 26 ივლისის შემდგომ დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება. ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.[11] სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება თავის თავში მოაზრებს კარგი მმართველობის პრინციპსაც რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიმარტავს როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით საჯარო დაწესებულებების ვალდებულებას დროულ, თანმიმდევრულ და სათანადო წესით მოქმედებაზე[12]. კარგი მმართველობის პრინციპი მოიცავს განმცხადებლის დროული ინფორმირების ვალდებულებასაც. საქართველოს სახალხო დამცველს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს „კარგი მმართველობის" პრინციპიდან გამომდინარე შეეძლო ი ბ ს მიეწოდებინა ისტორიის დამატებითი გამოცდის დანიშვნის თარიღის შესახებ ინფორმაცია თუნდაც ზეპირი კომუნიკაციით. სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" მიერ განმცხადებლის დროული ინფორმირების შემთხვევაში ს. ბ. თვის შესაძლოა უფრო ხელსაყრელი სამართლებრივი შედეგი დამდგარიყო.

სახალხო დამცველს კიდევ ერთხელ სურს ხაზი გაუსვას პირის უმაღლესი განათლების უფლების მნიშვნელობას და ადმინისტრაციულ ორგანოს მოუწოდებს უფლების შეზღუდვის ყოველი შემთხვევის განხილვისას იმოქმედოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, მოახდინოს იმ პირთა სათანადო ინფორმირება ვის ინტერესებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს მიღებულმა გადაწყვეტილებამ და იყოს თანმიმდევრული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უმაღლესი განათლების

---

[10] სსიპ შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის ვებ. გვერდზე (naec.ge) განთავსებულია ინფორმაცია 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გაწრიგის შესახებ რომლის თანახმად ერთიანი ეროვნული გამოცდები სრულდებოდა 2023 წლის 26 ივლისს, თუმცა არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია დამატებითი საგამოცდო სესიების შესახებ.

[11] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18, პ.1.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამრთლოს 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე MOSKAL v. POLAND, პარ 51; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე MEGADAT.COM SRL v. MOLDOVA პარ. 72, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე BEYELER v. ITALY პარ.120.

უფლების შეზღუდვა ადამიანის უფლებაში ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს, რადგან პირს ერთი წლით ერთმევა შესაძლებლობა საზოგადოებაში დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი, იმუშაოს მის მიერ არჩეული პროფილთ, ჰქონდეს კარიერული წინსვლა და მიიღოს მატერიალური სარგებელი.[13]

<u>საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" 2023 წლის 1 აგვისტოს N953058 გადაწყვეტილებით ს [illegible] ბ [illegible] ა დაუსაბუთებლად შეეზღუდა/ეზღუდება კონსტიტუციით მინიჭებული უმაღლესი განათლების მიღების და შესაბამისად უმაღლესი განათლების დაფინანსების მიღების უფლება.</u>

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

1. ს [illegible] ბ [illegible] ის ([illegible]) უმაღლესი განათლების მიღების უფლების უზრუნველსაყოფად დაუყოვნებლივ დანიშნოთ ისტორიის დამატებითი გამოცდა, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მოახდინოთ აბიტურიენტის დროული ინფორმირება და უზრუნველყოთ ს [illegible] ბ [illegible] ის ისტორიის დამატებით გამოცდაზე დაშვება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

[13] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/3/1559, პარ.46.